



ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N1

8 იანვარი 2019 წ.

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად:

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ყვარლის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 დეკემბრის N62 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 6.12.2018 წ. 010250050.35.164.016336), კერძოდ:

1. დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ტიპური ფორმა – დანართი №2 და საჯარიმო ქვითრის ტიპური ფორმა – დანართი №3 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრაციაში გატარებულია 2018 წლის 5 სექტემბრის №19-04/1440 წერილით.“

2. დადგენილების N7 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N7

მ ი თ ი ე ბ ა №

სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემული შენიშვნის აქტი

_____ (ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი)

1. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დარღვეულია ამავე კანონის

_____ (მითითების საფუძველი: კონკრეტული დარღვევა ნორმატიული აქტისა და მისი შესაბამისი მუხლის მითითებით)

2. დარღვევის ჩადენის ადგილი (ობიექტის დასახელება, მისამართი)

3. გასატარებელი ღონისძიებები: _____

4. მითითებით განსაზღვრული გასატარებელი ღონისძიებების შესრულების ვადა:

_____ დღე

5. გაცნობებთ, რომ თქვენ ჩართული ხართ ადმინისტრაციულ წარმოებაში, გენიჭებათ ყველა ის უფლება, რომლებიც დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტისთვის და გაკისრიათ შესაბამისი მოვალეობები. (კოდექსის VI თავი).

6. შემოთავაზებული ღონისძიებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს თქვენს პასუხისმგებლობას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კერძოდ:

7. მითითება შეადგინა: _____

8. მითითება პირადად ბარდება ადრესატს ან/და განთავსდება მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

9. მითითება შედგენილია სამ ეგზემპლარად, სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10. მითითება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილებასთან ერთად, გაცნობიდან 15 დღის ვადაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის

სამსახურის ხელმძღვანელი

ხელმოწერა ბ.ა.

თარიღი

მითითება ჩავიბარე:

ხელმოწერა, სახელი, გვარი (სრულად)

თარიღი

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ქვეციშვილი